

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2019 წლის ----- დეკემბერი

ქ. ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

თავი I. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	43,679.5	56,177.0	21,077.0	35,100.0	38,400.0	0.0	38,400.0
გადასახადები	9,707.4	30,388.2	0.0	30,388.2	33,946.4	0.0	33,946.4
გრანტები	30,836.5	21,427.0	21,077.0	350.0	350.0	0.0	350.0
სხვა შემოსავლები	3,135.6	4,361.8	0.0	4,361.8	4,103.6	0.0	4,103.6
II. ხარჯები	28,953.7	39,049.2	5,492.1	33,557.1	34,632.5	0.0	34,632.5
შრომის ანაზღაურება	5,511.9	5,488.4	0.0	5,488.4	5,774.4	0.0	5,774.4
საქონელი და მომსახურება	1,905.5	3,811.1	1,523.0	2,288.1	2,102.4	0.0	2,102.4
პროცენტი	363.2	503.9	0.0	503.9	1,350.0	0.0	1,350.0
სუბსიდიები	17,798.0	18,354.4	0.0	18,354.4	20,430.0	0.0	20,430.0
გრანტები	3.4	14.0	0.0	14.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,152.6	4,023.1	0.0	4,023.1	3,120.0	0.0	3,120.0
სხვა ხარჯები	2,219.1	6,854.3	3,969.1	2,885.2	1,825.7	0.0	1,825.7
III. საოპერაციო სალდო	14,725.8	17,127.8	15,584.9	1,542.9	3,767.5	0.0	3,767.5
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11,831.2	23,828.3	22,359.4	1,468.9	2,717.5	0.0	2,717.5
ზრდა	12,163.9	31,528.3	22,359.4	9,168.9	5,317.5	0.0	5,317.5
კლება	332.7	7,700.0	0.0	7,700.0	2,600.0	0.0	2,600.0
V. მთლიანი სალდო	2,894.6	-6,700.5	-6,774.5	74.0	1,050.0	0.0	1,050.0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-171.8	-882.8	-554.3	-328.5	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	-	-	-

კლება	171.8	882.8	554.3	328.5	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	110.8	882.8	554.30	328.50	0.0	0.0	0.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-686.1	2,768.0	3,500.0	-732.0	-1,050.0	0.0	-1,050.0
ზრდა	0.0	3,500.0	3,500.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	3,500.0	3,500.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	686.1	732.0	0.0	732.0	1,050.0	0.0	1,050.0
საშინაო	686.1	732.0	0.0	732.0	1,050.0	0.0	1,050.0
სესხები	-	-					
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-			-		
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	44,073.2	67,377.0	24,577.0	42,800.0	41,000.0	0.0	41,000.0
შემოსავლები	43,679.5	56,177.0	21,077.0	35,100.0	38,400.0	0.0	38,400.0
არაფინანსური აქტივების კლება	332.7	7,700.0	0.0	7,700.0	2,600.0	0.0	2,600.0
გადასახდელები	43,228.0	71,309.5	27,851.5	43,458.0	41,000.0	0.0	41,000.0
ხარჯები	30,378.0	39,049.2	5,492.1	33,557.1	34,632.5	0.0	34,632.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	12,163.9	31,528.3	22,359.4	9,168.9	5,317.5	0.0	5,317.5
ვალდებულებების კლება	686.1	732.0	0.0	732.0	1,050.0	0.0	1,050.0
ნაშთის ცვლილება	845.2	-3932.5	-3274.5	-658.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 38400.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	43,679.5	56,177.0	21,077.0	35,100.0	38,400.0	0.0	38,400.0
გადასახადები	9,707.4	30,388.2	0.0	30,388.2	33,946.4	0.0	33,946.4
გრანტები	30,836.5	21,427.0	21,077.0	350.0	350.0	0.0	350.0
სხვა შემოსავლები	3,135.5	4,361.8	0.0	4,361.8	4,103.6	0.0	4,103.6

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 33946.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	9707,4	30,388.2	0.0	30,388.2	33,946.4	0.0	33,946.4
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0.0	22,888.2	0.0	22,888.2	24,946.4	0,0	24,946.4
ქონების გადასახადი	7,365.8	7,500.0	0.0	7,500.0	9,000.0	0.0	9,000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5,116.7	6,000.0	0.0	6,000.0	7,000.0	0,0	7,000.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	310.2	300.0	0.0	300.0	230.0	0,0	230.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	57.0	150.0	0.0	150.0	50.0	0.0	50.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	410.8	500.0	0.0	500.0	400.0	0.0	400.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,471.1	550.0	0.0	550.0	1320.0	0.0	1320.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 350.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
გრანტები	30836.5	21427.0	350.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	30836.5	21427.0	350.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	19187.6	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	350.0	3,149.5	350.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	645,6	0,0	0,0
კაპიტალური ტრანსფერი	9,962.8	15,570.6	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	948.0	0.0
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :	689.3	1758.9	0,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	689.3	1758.9	0,0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 4103,6 ათასი ლარით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	ათას ლარში
			2020 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	3135.6	4361.8	4,103.6
შემოსავლები საკუთრებიდან	746.8	1550.0	1,420.0
პროცენტი	68,3	300,0	200,0
რენტა	678,5	1250,0	1220,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1434,7	1561,8	1,583,6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	1349,9	1461,8	1,383,6
სანებართვო მოსაკრებელი	199,0	350,0	482,4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	652,7	550,0	300,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	497,7	500,0	600,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	84,8	100,0	200,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	912,6	1250,0	1000,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	41,5	0,0	100,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 34632,5 ათასი ლარით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	28,953.7	39,049.2	5,492.1	33,557.1	34,632.5	0.0	34,632.5
შრომის ანაზღაურება	5,511.9	5,488.4	0.0	5,488.4	5,774.4	0.0	5,774.4
საქონელი და მომსახურება	1,905.5	3,811.1	1,523.0	2,288.1	2,102.4	0.0	2,102.4
პროცენტები	0.0	503.9	0.0	503.9	1,350.0	0.0	1,350.0
სუბსიდიები	17,798.0	18,354.4	0.0	18,354.4	20,430.0	0.0	20,430.0
გრანტები	3.4	14.0	0.0	14.0	30.0	0.0	30.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,152.6	4,023.1	0.0	4,023.1	3,120.0	0.0	3,120.0
სხვა ხარჯები	2,219.1	6,854.3	3,969.1	2,885.2	1,825.7	0.0	1,825.7

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 2717,5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 5317,5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 2600,0 ათასი ლარით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	ათას ლარში		
		2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	96.8	202.2	147,5
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	33.4	202.0	47,5
01 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება	80,0	0,0	100,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2588,0	7496,6	3,400,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	920,2	818,5	1060,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	299,5	317,2	500,0
02 03	გარე განათება	30.8	468.7	200.0
02 07	კეთილმოწყობა	70.3	923,5	600,0
02 09	რფგ-დან მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	1267,2	1986,0	430,0
02 12	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	0,0	980.2	200.0
02 14	ყინულის მოედნის რეაბილიტაცია	0.0	2000,0	0.0
02 16	სამოქალაქო ბიუჯეტი	0.0	0.0	1000.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	585.8	346,5	400,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	13.4	4.5	50.0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	7.9	300.0	50.0
03 05	პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	501.7	42,0	200.0
04 00	განათლება	157,8	899,8	500,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	155,0	233,0	280,0
04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	0,0	0,0	100,0
04 04	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	2.8	666,8	120.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	91,3	223,8	280,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	12,3	190,9	150,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	79.0	32.9	130,0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	3519,7	9168,9	5317,5

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	332.7	7,700.0	2600,0
ძირითადი აქტივები	260.6	0.0	0,0
არასაცხოვრებელი შენობები	0,0	0,0	2000,0
არაწარმოებული აქტივები :მ/შორის	72.1	7,700.0	600,0
მიწა	72.1	7,700.0	600,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
7.0 1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	7,683.0	8,069.2	9,030.0
7.0 1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7,319.8	7,455.8	7,270.0
7.0 1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	7,319.8	7,455.8	7,270.0
7.0.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	109.5	300.0
7.0.1.3.3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.0	109.5	300.0
7.0.1.6	ვალთან დაკავშირებული ხარჯები	363.2	503.9	1,350.0
7.0.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	110.0
7.0 2	თავდაცვა	209.3	220.0	240.0
7.0 3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	63.4	0.0	100.0
7.0 4	ეკონომიკური საქმიანობა	7060,0	11843,0	8350,0
7.04 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	2,3	2,1	0.0
7.0 4 5	ტრანსპორტი	1053,9	1345,5	1510.0
7.0 4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	865,3	700,4	600.0
7.0 4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	188.6	645,1	910.0
7.047	ეკონომიკის სხვა დარგები	13.3	50.0	50.0
7.0 4 7 3	ტურიზმი	13.3	50.0	50.0
7.0 4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	5990,5	10445,4	7020.0
7.0 5	გარემოს დაცვა	5753,0	6470,4	6730.0
7.0 5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	4,338.9	4,350.5	4,700.0
7.0 5 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1414,1	2119,9	2030.0
7.0 6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	108,3	807,8	715.0

7.0 6 1	ბინათმშენებლობა	11.2	170.0	285.0
7.0 6 3	წყალმომარაგება	61,8	99,1	200.0
7.0 6 4	გარე განათება	30.8	468.7	200.0
7.0 6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	4,5	70,0	30.0
7.0 7	ჯანმრთელობის დაცვა	1,200.6	1,342.2	1414.0
7.0 7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	281.6	286.4	310.0
7.0 7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	919.0	1,055.8	1104.0
7.0 8	დასვენება, კულტურა და რელიგია	3402,1	3768,6	3785.0
7.0 8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,346.0	1,471.9	1,340.0
7.0 8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,942.6	1,846.7	2,040.0
7.0 8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა			65.0
7.0 8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0.0	160.0	160.0
7.0 8 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და დაცვის სფეროში	51,4	220,0	180.0
7.9	განათლება	5941,8	7454,3	7,340.0
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	4,775.2	5,413.0	5,880.0
7.0 9 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1166,6	2031,3	1,430.0
7 10	სოციალური დაცვა	1,424.3	2750,5	2,016.0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	232.8	294.6	240.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	22.8	40.0	40.0
7 10 3	მარჩენალ დაკარგულთა სოციალური დაცვა	66.4	70.0	70.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	118.1	125.0	120.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	984.2	2220,9	1546.0
	სულ	32845,8	40726,0	39,950.0

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 1060,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 2343,2 ათასი ლარით:

დასახელება	ათას ლარში		
	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	5125,6	1542,9	3767.5
მთლიანი სალდო	1938,6	74,0	1050.0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	-171,8	-328,5	0,0
კლება	171,8	328,5	0,0
ვალუტა და დეპოზიტი	110,8	328,5	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	61,0	0,0	0,0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 1050,0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2019 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 2040,0 ათას ლარს,

თავი II. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 9,395.0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9395.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1060.0
02 01 01	გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	600.0
02 01 02	ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია	400.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	60.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	500.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	200.0
02 02 02	სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	300.0

02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	200.0
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	450.0
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	450.0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	285.0
02 07	კეთილმოწყობა	4690.0
02 07 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა	4200.0
02 07 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა	340.0
02 07 04	შენობა-ნაგებობებისა და სახურავების რეაბილიტაცია	150.0
02 08	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება	30.0
02 09	რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	480.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	150.0
02 11	სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	300.0
02 12	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	200.0
02 13	მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები	30.0
02 15	საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობის და ტურზმის ხელშეწყობის პროგრამა	20.0
02 16	სამოქალაქო ბიუჯეტი	1,000.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		1060,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია გზების და ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების, ხიდების სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		600,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების და მოსაცდელების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების არსებული საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების (ორმული შეკეთების) სამუშაოები და მოსაცდელების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის დაგეგმილია ქ. ზუგდიდში კოსტავას, ქუთაისის, შარტავას, მესხიას, პუშკინის, ჭავჭავაძის, მარცხენა სანაპიროს, ლალიძის, გორკის, ცისკარიშვილის, ყაზბეგის, ქირიას, კედიას, შენგელიას და საჭიროების შემთხვევაში სხვა ქუჩების, ასევე ზუგდიდი - სოფ. ოდიშის, ინგირი - დავითიანისა და ცაიში - ოქტომბრის დამაკავშირებელი და სხვა გზების ორმული შეკეთება/მოწყობის სამუშაოები. ამასთანავე სოფ. შამგონას (ზვ. გამსახურდიას ქუჩა) და სხვა ადმინისტრაციული ერთეულებში გზების ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაცია. ასევე დაგეგმილია ცაიშის და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსაცდელის მშენებლობა.</p> <p>გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა 2020 წელს გაგრძელდება 2 წლიანი პროექტით რეგონდიდან გამოყოფილი თანხებით ჩხოუშის, ზედაწერის, ჭკადუაშის, რუხის, გრიგოლიშის, ჭითაწყარის, ბაღმარანის, აბასთუმნის, ნარაზენი-შამადელას დამაკავშირებელი გზის, ნარაზენის, ოქტომბრის ურთის, ოფაჩხაფუს, ჩხორიის გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია.</p>
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 01 02		400,0
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ხიდების რეაბილიტაცია, ახალი ხიდების, მილხიდებისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობა. ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია იგეგმება შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: ტყაია (ალშიბაიების უბანი, საარქანიოს და საშეროზიოს უბანი), შამგონა (ზვ. გამსახურდიას ქუჩაზე ორ დელეზე), ორულუ (დღვბა არხზე), ახალსოფელი (საკოზუოს უბანი, საფონიოს უბანი), უჩაშონა-ოფაჩხაფუ-ყულიშკარი (მდ. ჩეკუხე სამანქანო ხიდი), ცაიში (ეკლესიის უბანი), ჭითაწყარი, ურთა (საარქანიოს უბანი), ქ. ზუგდიდი ენგურის ადმ. ერთეული (ვოლგოგრადის ქუჩა, სახოკიას ქუჩა), დიდი ნეძი (მდ. ჯუმის სანაპირო), ჯიხაშკარი (საშენგელიოს უბანი, კოსტავას კუჩა #1-#2), რიყე (წმ. გიორგის ქუჩა), ოდიში (სასაფლაოსთან მისასვლელი) და სხვ.</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 01 03		60,0
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მოიცავს შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების შექმნა-მონტაჟს, გზების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნის სამუშაოებს, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებით შემცირებისათვის სიჩქარის შემზღვევით ბარიერის შექმნას, სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას. პროგრამით გათვალისწინებულია 44 ერთეული ადმინისტრაციული ერთეულების დასახელების მანიშნებელი ბანერის შექმნა/მონტაჟი (დავითიანი, ოქტომბერი, შამგონა, ჭკადუაში, ურთა, კოკი, ორსანტია, ახალბასთუმანი, განმუხური, დიდინეძი, აბასთუმანი, ახალსოფელი, ბაში, ერგეტა, ნაცატუ, ოირეძე, ოდიში, ორულუ, ოფაჩხაფუ, ალერტკარი, რიყე, ტყაია, უჩაშონა, შამადელა, ცვანე, ჭაქვიჯი, ხურჩა); საგზაო ნიშნების განთავსება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე). კოსტავას ქუჩისა და რუსთაველის ქუჩის კვეთაზე, ასევე მეუნარგასა და რუსთაველის ქუჩის კვეთაზე შუქნიშნებზე დამონტაჟდება ხმოვანი სიგნალი.</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
-------------------------	------	---	------------------------------------

	02 02 01		200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ზუგდიდში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელი წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში წყლის სისტემის (მიღების ამოწმება, საქაჩი ტუმბოს მოწყობა, დაზიანებული ქსელის მოწესრიგება-მოწყობა, ჭაბურღილის მოწყობა, სასმელი ფანტანის მოწყობა) რეაბილიტაცია: ახალაბასთუმანი, ნარაზენი, ჭკადუაში, ყულიშკარი, ალერტკარი, ახალკახათი, ანაკლია, ინგირი, ოდიში და სხვ.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		300,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე ქსელის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი არხების რეაბილიტაცია, ასევე ახალი წყალსაწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა. პროგრამის ფარგლებში სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში: ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციული ერთეული (ფურცელამე, გაბაშვილი-ფურცელამის კვეთა, გოგოლის ქ. #21, ქუჯის ქუჩა 12, ერევნის, ლომოურის და ფიფიას ქუჩებია), ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციული ერთეული (ცისკარიშვილის, გამსახურდია, ზაქარაიას და სოხუმის ქუჩები), ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციული ერთეული (ჯიქიას ქუჩა), ქ. ზუგდიდის ენგურის ადმინისტრაციული ერთეული (მესხიას ქუჩა), ცაიში (თბილისის და რუსთაველის ქუჩები, კურორტის მონაკვეთი), შამგონა (ცენტრალური გზა), ხურჩა (ცენტრიდან ზაღამდე მონაკვეთი), ჯიხაშკარი-ობუჯის დამაკავშირებელი გზა და სხვ.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03		200,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის გზებზე და შიდა ეზოებში გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ობიექტების მოწყობა: განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდიდან განმუხურის სანაპირო ბულვარამდე არსებული გზის გარე განათების მოწყობა და ქ. ზუგდიდში გორის, ჭაბუკიანის, ვ. ფიფიას, შ. ბიგვასას ქუჩებისა და თამარ მეფის ქუჩის I შესახვევი, თავისუფლების ქუჩის ყოფილი III და V შესახვევები, კეკელიძის ქუჩის შესახვევი, მარჯანიშვილისა და</p>		

	ფირცხელავას ქუჩის ჩიხები და სხვ.
--	----------------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		450,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გადაადგილებისა და ტვირთის გადატანის შედეგადად სერვისის სთავაზობს.</p> <p>მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური ხელშეწყობა ითვალისწინებს მოსახლეობის სოციალურ დაცვას საწვავი მასალებისა და მარაგ-ნაწილების ფასების შესაძლო ზრდის პირობებში მგზავრობის ღირებულების გაძვირების ფაქტორისაგან.</p> <p>პროგრამის მიზანია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; მგზავრებისთვის გადაყვანის კომფორტული პირობების შექმნა; საგადახდო სისტემის მოწესრიგება ავტობუსებში სალარო აპარატების დამონტაჟების გზით; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს მორგებული მარშრუტებისა და გრაფიკის შედგენა; მოძრაობის საწყისი წერტილების მოქალაქეებისთვის მისაღებ ადგილზე განთავსება.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 05		285.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციის და მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი სამუშაოების თანადაფინანსება. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მოსახლეობის დახმარების მიზნით, პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები; ლიფტების სარეაბილიტაციო სამუშაოები; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიების დაფიქსირებისათვის (ე.წ. წითელ ხაზებში მოქცევა) გაწეული ხარჯები; პარაკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია; საცხოვრებელი სახლების დაზიანებული წყალარინების კომუნიკაციების აღდგენა; შიდა წყალგაყვანილობის (საერთო სარგებლობის) რეაბილიტაცია; ეზოების კეთილმოწყობა; სადარბაზოების კეთილმოწყობა; სპორტული ინვენტარის, ატრაქციონებისა და ძელსკამების შექმნა; ფასადების კეთილმოწყობა-შეღესვა, გამაგრება. ამასთანავე 2020 წლიდან პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მრავალსართულიან კორპუსებში განთავსებული ჯამში 45 სამგზავრო და სატვირთო ელექტრონული ლიფტის უსაფრთხო ფუნქციონირებაზე შემოწმება.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		4690,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია და ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრი“		

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ზრუნვა მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სისტემატურად გაუმჯობესებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის, ასევე შუქნიშნების შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის სათანადო სამუშაოების ჩატარებას; ბულვარის, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციასა და რეაბილიტაციას. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმების ღონისძიებებს; ქალაქის გამწვანებას, სანიღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებას; ტროტუარების და ბორდიურების მოვლა-პატრონობა; ავარიული და გამხმარი ხეების გადაბეღვას და ახლის დარგვას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის გამწვანებითი ღონისძიებების შესრულება; შადრევნების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას; სასაფლაოების მოვლა-პატრონობას და ახალი საფლავების გამოყოფის უზრუნველყოფას; საბავშვო ატრაქციონების მოვლა-პატრონობას და რეაბილიტაციას.
----------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	
	02 07 01		4200,0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია ზრუნვა მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სისტემატურად გაუმჯობესებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის, ასევე შუქნიშნების შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის სათანადო სამუშაოების ჩატარებას; ბულვარის, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციასა და რეაბილიტაციას. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმების ღონისძიებებს; ქალაქის გამწვანებას, სანიღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებას; ტროტუარების და ბორდიურების მოვლა-პატრონობა; ავარიული და გამხმარი ხეების გადაბეღვას და ახლის დარგვას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის გამწვანებითი ღონისძიებების შესრულება; შადრევნების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას; სასაფლაოების მოვლა-პატრონობას და ახალი საფლავების გამოყოფის უზრუნველყოფას; საბავშვო ატრაქციონების მოვლა-პატრონობას და რეაბილიტაციას.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა	2020 წლის დაფინანსება (ათასლარში)	
	02 07 03		340,0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია			
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებრივი აქტივების კერძოდ კაპიტალური შენობებისა და ნაგებობების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. აღნიშნულ შენობებში შშმ პირთათვის ადვილად შეღწევადობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია: ორული, ალერტკარი, ჭითაწყარი და სხვ. ასევე განხორციელდება აბასთუმანში ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოები რომელიც განთავსებულია ადმინისტრაციული შენობაში.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შენობა-ნაგებობებისა და სახურავების რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება (ათასლარში)	დაფინანსება 2020-2023 წლებზე (ათასლარში)
	02 07 04		150,0	150,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. 2020 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თამარ მეფის ქუჩის #10-ში მდებარე სახლის სახურავის			

	და რუსთაველის #92-ში მდებარე ფოსტის შენობის ფასადის რეაბილიტაცია; ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მ. კოსტავას ქუჩაზე მდებარე სტამბის რეაბილიტაცია; ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტყაიის ადმინისტრაციულ ერთეულში კულტურის სახლის გადახურვა და სხვ.
--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		30,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ტურიზმის პოპულარიზაციისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში შემაჯავალი მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივი საქმიანობის განხორციელება: საინფორმაციო-სარეკლამო საშუალებების გამოყენება, ბუკლეტების დამზადება-გავრცელება, ტურისტული მომსახურების საშუალებების (გიდების-ექსკურსიამბლოლების გადაადგილებისათვის სატრანსპორტო მომსახურების და სხვა) უზრუნველყოფა. მხარეში ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების ტურების შეთავაზება-მომსახურება. დონორებთან მუშაობა, სტატისტიკური ანალიზის შესაბამის საკითხებზე.		

პროგრამის დასახელება	კოდი	რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		480,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში იგეგმება გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრებით განხორციელდება ძირითადი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორცაა გზების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა და სხვა. დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაღმარანის უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ჩხორიის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების მოწყობა, ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში საბეჭვაოს უბნის გზის რეაბილიტაცია, ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში ახალსოფლის ცენტრიდან ოფაჩხაფუს ცენტრამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში ნარაზენის გადასახვევიდან ოფაჩხაფუს ცენტრამდე ჩხოუმის, ზედაეწერის, ჭკადუაშის, რუხის, გრიგოლიშის, ჭითაწყარის, ბაღმარანის, აბასთუმნის, ნარაზენი-შამადელას დამაკავშირებელი გზის, ოქტომბრის, ურთის, ჩხორიის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 10		150,0

პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების დროს მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო ფინანსური საფუძვლების შექმნა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები

პროგრამის დასახელება	კოდი	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 11		300,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა. ასევე, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 12		200,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 13		30,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა. ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგეგმარების შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შემდგომ მისი გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზებისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა, აღრიცხვაზე ასაყვანი ქონების შეფასება, მათ შორის სტრატეგიული ძირითადი აქტივების.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 15		20.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში შეიქმნება დონორებისა და პროგრამების დეტალური ბაზა, რომელიც პერიოდულად განახლდება მოცემულობის შესაბამისად; მოხდება საინვესტიციო პოტენციალის იდენტიფიცირება და შეიქმნება მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პორტფელი; ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ საჭიროებებზე მორგებული, უცხოური ორგანიზაციების, დონორების მიერ გამოცხადებულ აქტივობებზე პროექტების წარდგენა და თანადაფინანსებით მათი განხორციელების უფლების მოპოვება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ბიუჯეტი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 16		1,000.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს თავად დაგეგმონ და განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები, ასევე გაუწიონ მონიტორინგი მათ რეალიზაციას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი საპროექტო ინიციატივები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დასასვენებელი სივრცე (პარკი, სკვერი) - გოროზიას 114; • გადახურული სავარჯიშო ასაზიდი კონსტრუქციები - მ. კოსტავას ქუჩის ბოლო; • სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტრენაჟორები საჩრდილობელი ფანჩატურით - ბაგრატიონის და 25 დეკემბრის ქუჩების კვეთა; • საბავშვო ბაღის ღობის მოწყობა - 25 დეკემბრის ქუჩა #15; • მრავალფუნქციური სპორტული მოედნის მშენებლობა - ა. წერეთლის ქუჩა #8; • ქუჩების ნუმერიზაცია; • მოსაცდელი - პუშკინის ქუჩაზე ტაძრის მიმდებარედ, საჯვაროს უბანი; • სკვერის რეაბილიტაცია ბავშვთა გასართობი სივრცით - სოხუმის ქუჩა; • საკალათბურთო მოედანი - ი. ჭავჭავაძის ქუჩა; • მინი სპორტული სტადიონი - ბერანძის ქ. #11; • მინი სპორტული სტადიონი - ლომონოსოვის ქუჩის მიმდებარედ; • მინი სპორტული მოედანი - ლომთათიძის ქუჩის #1 შესახვევის მიმდებარედ; • პიერ კობახიძისა და თაყაიშვილის ქუჩების ნუმერიზაცია და სამღებრო სამუშაოები - პიერ კობახიძისა და თაყაიშვილის ქუჩები; • სანიაღვრე არხი - ალ. ჭავჭავაძის ქუჩა; • სპორტულ-გასართობი მოედანი - მოსაშვილის ქუჩა; • მინი სტადიონის მოწყობა - თბილისის ქ. #2; • „ჯანმრთელი მომავალი“ (პარკი, სკვერი, საბავშვო სივრცე) - თაბუკაშვილის შესახვევი #4; • სატრენაჟორო სივრცე - ბერიას ქუჩა; • სპორტულ-გასართობი მოედანი - თბილისის ქ.; • ფიტნეს სივრცე "თაობა" - ზ. გამსახურდიას გამზირი, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორია; • იონა მეუნარგიას სახელობის სკვერის კეთილმოწყობა - გამსახურდიას და თავისუფლების ქუჩების კვეთა; • მრავალბინიანი კორპუსის ეზოს შემოღობვა და კეთილმოწყობა - თამარ მეფის ქ. #18; • ეზოს კეთილმოწყობა - თამარ მეფის ქ. #27,28,29; • მდ. კუჩხოზონის სანაპირო ზოლის გამწვანება (პარკის მოწყობა), ხიდის რეაბილიტაცია - მდ. კუჩხოზონის მიმდებარე ტერიტორია, თამარ მეფისა და მათა წყნეთელის ქუჩების კვეთა; • სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტრენაჟორები - ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ; • სკვერის მოწყობა - თამარ მეფის #30 #33 კორპუსებს შორის.
-----------------------------------	---

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6,630.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში

დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	ათას ლარში 2020 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	6,630.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4,700.0
03 02	შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“ ფინანსური ხელშეწყობა	550.0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	600.0
03 04	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა შპს „ზუგდიდაგროსერვისი“-ს ბაზაზე	350.0
03 05	პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	300.0
03 08	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისაგან	30.0
03 09	მწვანე ბიუჯეტი	100.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		4,700.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ზუგდიდასუფთავება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მყარი ნარჩენებისაგან გაწმენდა, კერძოდ: ქალაქისა და სასოფლო ტერიტორიებში ერთეულებში ცენტრალური ადგილების, ტროტუარების, სკვერების, გაზონების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაცვა - დასუფთავება, ნარჩენების აკრეფა - შეგროვებამოსახლეობის კარდაკარ - შემოვლის (ე.წ. „ზარის“ პრინციპი) მეთოდით ქალაქის 475 ქუჩაზე მცხოვრები 13 ათასი კომლიდან და 48 სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრები 18 ათასი კომლიდან. მიღებული მყარი ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელში. აგრეთვე მყარი ნარჩენების გატანა კომერციული სტრუქტურებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან, სახელმწიფო უწყებებიდან, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებიდან , სულ 850 - ზე მეტი ობიექტიდან.</p> <p>პრიორიტეტი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილს დამტკიცებული „ ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის, „ნარჩენების მართვის 2016 – 2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის“ შესაბამისად.</p> <p>მუნიციპალური ნარჩენების მართვის საკრებულოს მიერ დამტკიცებული გეგმით განსაზღვრულია ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების შემდეგი მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა :</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მყარი მუნიციპალური ნარჩენების 90 % - ის შეგროვება - გატანა 2020 წლისათვის. 2. ქალაქის, პლასტიკატის, მინისა და მეტალის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2023 წლამდე. 3. ქალაქის, პლასტიკატის, მინისა და მეტალის რეციკლირების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა 2020 – 2023 წლებში. 4. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ნაგავსაყრელში განთავსების შემცირების მიზნით კომპოსტირების საპილოტე პროგრამების განხორციელების დაწყება 2020 – 2023 წწ. 		

	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, რომლის ფართობი 682 კვადრატული კილომეტრია, 2125-ზე მეტი ქუჩით არის დაქსელილი დღეისათვის ცხოვრობს 105 509 ადამიანი (31 ათასი კომლი). ერთი მაცხოვრებლის მიერ დღე - ღამეში საშუალოდ წარმოიქმნება 731 გრამზე მეტი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი, სულ წელიწადში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოიშობა 31 ათას ტონამდე (108 ათასი მ3 გაშლილი მასა) მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი, რომლის მოცულობაც იზრდება ეკონომიკის განვითარების და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების კვალობაზე. ამას ემატება 5 წლიანი გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები მომსახურეობის უფრო მაღალ სტანდარტებზე, რომლის შესრულებაც აუცილებელია.</p> <p>ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნარჩენების მართვის პროცესში მომსახურეობის სერვისისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა მრავალმხრივ სრულყოფას და გარდა საოპერაციო ხარჯებისა, სერიოზულ კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვს, კერძოდ:</p> <p>მომსახურეობის სერვისის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა ისეთი სახის მატერიალური ფასეულობების დამატებით შექმნა , როგორცაა:</p> <p>სხვადასხვა მოცულობის ნაგავშემკრები კონტეინერები, საწნეხი მოწყობილობის მქონე ნაგავშიდები, დამგველი მანქანები, ქუჩებისა და სკვერების მოსარწყავი წყალმშეფი მანქანები, თვითმცლელი მანქანები, მოტოროლერები, პიკაპის ტიპის მარიანი მანქანები, ექსკავატორი და ა.შ.</p>
--	---

პროგრამის დასახელება	კოდი	შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსური ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		550.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია ანაკლია - განმუხურის სანაპირო ბულვარის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა, ზედამხედველობა და დასვენებისთვის გაუმჯობესებული გარემოს შექმნა; სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე ელ. მომარაგების და ელ. გაყვანილობის ქსელის მოვლა-პატრონობა; ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიის დასუფთავების მიზნით ტექნიკით მომსახურება; გამწმენდი ნაგებობის, არსებული საკანალიზაციო ქსელის და ელ. ტუმბოების მოვლა-პატრონობა; ანაკლიის შადრევნის მოვლა-პატრონობა; სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობა; შპს-ის საკუთარი შემოსავლების მობილიზაციისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა გატარება.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 03		600.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი იქნება უნიკალური ისტორიული მემკვიდრეობის მქონე თანამედროვე ტიპის ბაღი კავკასიის რეგიონში.</p> <p>მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა და სწორი მარკეტინგული დაგეგმარების შედეგად, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ღირსეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ბოტანიკურ ბაღებს შორის.</p> <p>განახლებული ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურისტული პოტენციალის ამაღლებას და მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში არსებულ მცენარეთა მოვლა და ახალი კოლექციებით გამდიდრება, მრავალფეროვანი სერვისებისა და პროდუქტების დანერგვა, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში სამეცნიერო ცენტრის შექმნის ხელშეწყობა; ახალი კოლექციებით გამდიდრების მიზნით მოხდება სათბურში არსებული და ახალი სახეობების მცენარეთა ჩითილების გამოყვანა და გამრავლება. საქოთნე მცენარეების გამრავლება. სანერგე მეურნეობის ღია და დახურულ გრუნტზე არსებული და ახალი სახეობების მცენარეთა ჩითილების გამოყვანა და გამრავლება.</p> <p>ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების გასხვლა ფორმირება, მავნებელ დაავადებებთან და მწერების საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>დაგეგმილია ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის სპეციალური პაკეტებისა და მომსახურებების დანერგვა.</p> <p>ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე სპორტული, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი, საგანმანათლებლო და სადღესასწაულო ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>ადმინისტრაციის მატერიალურ ტექნიკური ბაზის შექმნა. ბოტანიკური ბაღის მოვლა პატრონობისთვის საჭირო ტექნიკისა და აღჭურვილობის შექმნა. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ბაზის მატერიალურ ტექნიკური აღჭურვა. სამეცნიერო ექსპედიციების ორგანიზება.</p>
-----------------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა შპს „ზუგდიდაგროსერვისი“-ს ბაზაზე	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 04		350,0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს „ზუგდიდაგროსერვისი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ამჟამად მუნიციპალურ საკუთრებაშია 67,2 ჰა-ზე გაშენებული ადგილობრივი მნიშვნელობის მოზარდი ტყის ფონდი (21,71 ჰა), ქარსაფარი ზოლი (30,96 ჰა), ეროზირებული (5,71 ჰა) და სხვა მიწის ნაკვეთები (8,8 ჰა), რომლებიც საჭიროებს დროულ აღდგენით სამუშაოებს, ასევე 23 614 ძირი მწვანე ნარგავი, რომელიც გაშენებულია სოფლად გზის პირებზე და სხვა სახელმწიფო სარგებლობაში მყოფ ნაკვეთებზე. მუნიციპალური ზედამხედველობის ქვეშ არსებული ფონდის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 5 873 500 ლარს.</p> <p>პროგრამის მიზანს წარმოადგენს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ტყეების მოვლა, დაცვისა და აღდგენის, ასევე ტყის ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; 2. ტყეების მოვლა, დაცვისა და აღდგენის ადგილობრივი პროგრამის შემუშავება; 3. ეროზირებული ფართობების გაშენება-გატყეება; 4. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისათვის ტყით სარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ წინადადებათა წარდგენა; 5. მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების უზრუნველყოფა საინფორმაციო საშუალებებით. 		

პროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერების, ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება (ათასლარში)
	03 05		300,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური გარემოსა და ლანდშაფტური იერსახის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სკვერებისა და პარკების მშენებლობა-რეაბილიტაცია, არსებულ სკვერებსა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების დარგვა. სკვერებსა და პარკებში ქვაფენილების რეაბილიტაცია, დეკორატიული სანათების შექმნა-მონტაჟი. მათ შორის: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში თამაზ ჟორჯოლიანის სახელობის პარკის და ჟორჯოლიანის ქუჩაზე საბავშვო მოედნის მოწყობა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დ. ჯიქიას სახელობის პარკის კეთილმოწყობა, ჭითაწყარის ადმინისტრაციული ერთეულის ონარიის დასახლებაში და ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლებაში სკვერის მოწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისაგან	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 08		30.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით განხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, ასევე მგლებისა და ტურების ბუნებრივი გარემოდან ამოღების ღონისძიებები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ბიუჯეტი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 09		100.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, შეიქმნება არარეგისტრირებული კავშირები (ე.წ. ადგილობრივი განვითარების ჯგუფები), რომლებიც მუნიციპალიტეტს მიმართავენ გამწვანების პროექტებითა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვებით, ხოლო მუნიციპალიტეტი, თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებას პროექტის საერთო ღირებულების 90 პროცენტით.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7,340.0 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
04 00	განათლება	7,340.0
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	5,880.0
04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	1,100.0
04 04	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	250.0
04 05	განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	80.0
04 06	შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა	30.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		5880,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სკოლამდელი განათლების მიწოდებას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი, რომელიც აერთიანებს 62 ს/ბაღს: ქალაქად - 17 ს/ბაღს, სოფლად - 45 ს/ბაღს, ს/ბაღები დაკომპლექტებულია 155 ჯგუფითა და 4100-მდე აღსაზრდელით. სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენას და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას.</p> <p>პროგრამის მიზანია ხარისხიანი სკოლამდელი განათლება, რაც პრიორიტეტია მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემაში და ეფუძნება სკოლამდელი განათლების სტანდარტს, სტანდარტის მიზანია ს/ბაღებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის უზრუნველყოფა თითოეული ბავშვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების და ზოგადად ბავშვის უსაფრთხო და პოზიტიური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა. სტანდარტების დამკვიდრება ხელს შეუწყობს ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ჩამოყალიბებას, რომელიც მიმართულია ბავშვის განვითარებაზე, პასუხობს მის ინტერესებსა და საჭიროებებს და უზრუნველყოფს უსაფრთხო და მორგებული გარემოს შექმნას, ბავშვების სათანადო კვებით უზრუნველყოფას.</p> <p>2020 წლისთვის დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესება; 2. ს/ბაღის თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურების ზრდა; 3. ს/ბაღის აღმზრდელთა მაღალი კვალიფიკაცია და პროფესიული სტანდარტის მიღწევა; 		

	<p>4. კვების ორგანიზების ტექნიკური რეგლამენტი. მენიუს გამრავალფეროვნება ბალანსირებული საკვებით და მენიუს გაზრდა 35 ლარიდან 50 ლარამდე;</p> <p>5. ახალი სტანდარტული ტიპის საბავშვო ბაღების აშენება იმ დაწესებულებებისთვის, რომლებიც იმყოფებიან ნაქირავებ ბინაში /#2 ს/ბაღი. #4 ს/ბაღი #17ს/ბაღი, გრიგოლიშის ს/ბაღი, ინგირის ს/ბაღი „წითელქუდა“, შამგონის ს/ბაღი და დარჩელის #2 ს/ბაღი;</p> <p>6. ს/ბაღების ინფრასტრუქტურული, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნა ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით;</p> <p>7. ს/ბაღების აღჭურვა სათანადო ტექნიკით /მაცივარი.გამწოვი და სხვა/ ინვენტარით, ავეჯითა და საჭიროებზე ორიენტირებული სასწავლო შემეცნებითი ინვენტარით;</p> <p>8. ს/ბაღებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და აღჭურვა სათანადო მოწყობილობით;</p> <p>9. ს/ბაღების ეზოს რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს გამწვანების და სათანადო დანადგარებით მოწყობას;</p> <p>10. შეზღუდული შესაძლებლობის (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) აღსაზრდელების ადაპტირებული ფიზიკური გარემოს შექმნა;</p> <p>11. ძილის ორგანიზება ს/ბაღებში, საჭირო ინვენტარის შექმნა-გაუმჯობესება;</p>
--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე სწავლისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		1,100.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლე		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ხორციელდება ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლის“ მიერ.</p> <p>პროგრამის მიზანია: მოზარდთა მრავალმხრივი განვითარება; თავისუფალი დროის სწორად წარმართვა; შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა; მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული უნარ-ჩვევების გამომუშავება; ესთეტიკური აღზრდა; მაღალი მუსიკალური მონაცემებისა და სახელოვნებო შემოქმედებითი ნიჭის მქონე მოზარდების გამოვლენა-განვითარება; ხელოვნების სხვადასხვა დარგების მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება; განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოზარდების გამოვლენა და ხელშეწყობა; მოზარდთა ზოგადი განათლების დონის, ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში აქტიური ჩართვა.</p> <p>სამუსიკო, საგუნდო-სამუსიკო, სამხატვრო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მიერ კონკურსების, დისკუსიების, ვიქტორინების, კონფერენციების, ლიტერატურული საღამოების, ინტელექტუალური თამაშების, საღმრთელო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება; ტექნიკური პროფილის სპეციალობის პოპულარიზაციის მიზნით მოსწავლეთა ჩაბმა ტექნიკური შემოქმედების წრეში, ნორჩ გამომგონებელთა ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით მოზარდების დაინტერესება სამეჯლისო-სპორტული ცეკვებით, თანამედროვე და საესტრადო სიმღერების შესწავლა, სადისკუსიოდ აქტუალური თემატიკის შერჩევა, პროფესიული დახმარების გაწევა, თანამედროვე არქიტექტურითა და დიზაინით მოსწავლეთა დაინტერესება, მოსწავლე-ახალგაზრდობის დღეების ორგანიზება, ქსელური მუშაობა საჯარო სკოლების თვითმმართველობებთან, საბავშვო სპექტაკლების, მიუზიკლების დადგმა და ჩვენება, თანამშრომლობა შშმ მოზარდებთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, საყმაწვილო მედიის განვითარება, შიდა სასკოლო ღონისძიებების, დახურული და ღია კონცერტების, ღია გაკვეთილების, მუსიკალურ-ლიტერატურული საღამოების,</p>		

	მუსიკალური და თეატრალური კვირეულების, გამოფენების და ღია პლენერების ჩატარება. საქალაქო, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობის მიღება. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო სივრცის შექმნა.
--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 04		250.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა (საჯარო სკოლებიდან შემოსული ინფრასტრუქტურული პროექტების, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების, ინსპექტირების დასკვნისა და სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება(თანადაფინანსება). აგრეთვე იმ ღონისძიებების მხარდაჭერა როგორცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მოზარდებში კითხვის სწორი სტრატეგიისა და კულტურის დანერგვა, გუნდური თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, სკოლის მოსწავლეების სასწავლო-შემეცნებითი დონის ამაღლება. მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის თვალსაჩინო ადამიანების საქმიანობის გაცნობა და კვლევა. შემეცნებითი ინტელექტუალური თამაშების, სამეცნიერო კონკურსების ორგანიზების ხელშეწყობა. სკოლის კურსდამთავრებულთა წახალისება. შემოსული მცირე პროექტების დაფინანსება. საზაფხულო ბანაკის მოწყობა საჯარო სკოლების წარმატებული მოსწავლეებისათვის. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება. სკოლიდან გასული იმ მოსწავლეების ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა, რომლებიც სკოლიდან გაირიცხნენ, ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 05		80.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები განსაკუთრებული ნიჭის და უნარების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების გამოვლენა და მათი ფინანსური ხელშეწყობა სწავლისა და შემოქმედებითი უნარის წარმოსაჩენად. მერის სტიპენდიის დაწესება მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს ან სხვა ტიპის სასწავლებელში. შესაბამისი პროფილის პუბლიკაციების გამოცემის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმატებული სტუდენტებისა და ახალგაზრდების სხვადასხვა ფორუმში მონაწილეობისა და უცხოეთის ქვეყნების უმაღლეს ან სხვა ტიპის სასწავლებელში სწავლის ხელშეწყობის დაფინანსება/თანადაფინანსება.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 06		30.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ერთადერთი უმაღლესი აკრედიტებული სასწავლებლის ფინანსური ხელშეწყობა სტუდენტებისა და ახალგაზრდებისათვის სხვადასხვა აქტივობების, ღონისძიებების განსახორციელებლად. კერძოდ, აღნიშნული თანხით დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოკლევადიანი გადამზადების/მომზადების კურსების შემუშავება და განხორციელება; • მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების ჩართვა სასწავლო პროცესში; • საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება; • აფილირებული აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის ქვეპროგრამა/კვლევები; • „სამეცნიერო პიკნიკი - 2020“; • „სტუდენტური დღეები - 2020“; • „კურსდამთავრებულთა გაცილების საზეიმო ცერემონიალი“.
-----------------------------------	--

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,785.0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

<i>ათას ლარში</i>		
პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	3,785.0
05 01	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	1,440.0
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	1,200.0
05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	140.0
05 01 03	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	100.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,265.0
05 02 01	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	1,100.0
05 02 02	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	80.0
05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	680.0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	180.0
05 02 05	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	65.0
05 02 06	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	160.0
05 03	საცხენოსნო კლუბ „ხარება“-ს ფინანსური ხელშეწყობა	80.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		1,200.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია; სპორტსმენების მომზადება და მონაწილეობის მიღება საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); წარმატებული სპორტსმენების წახალისება - რომლებმაც მოიპოვეს საქართველოს, ევროპისა და მსოფლის ჩემპიონის ტიტული, გახდნენ ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულები ან გავიდნენ საპრიზო ადგილებზე სხვადასხვა ტურნირებში (მათ მიეცემათ ერთჯერადი თანხა პრემიის სახით 100-დან 10 000 ლარამდე შედეგების შესაბამისად, საპრემიო განაკვეთების 50 პროცენტის შესაბამისი თანხა გაცივმა გამარჯვებული სპორტსმენების პირად მწვრთნელებზე); სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება; თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია; თანამედროვე სპორტული ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შექმნა; ცენტრი ახორციელებს ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას როგორცაა: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - ოლიმპიადა ტარდება სკოლებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში. განსახორციელებელი ქვეპროგრამები:</p> <p>მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა;</p> <p>სპორტის სახეობათა (ოლიმპიური და არაოლიმპიური) განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობების მხარდაჭერა;</p> <p>ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>რაგბის განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>ფიგურული სრიალის განვითარების ხელშეწყობა;</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		140.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდული პროექტების, იდეებისა და აქტივობების დაფინანსება და თანადაფინანსება; სკოლის მედალოსან კურსდამთავრებულთა ღონისძიებების მოწყობა; საქართველოს ისტორიული ადგილების მონახულება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ახალგაზრდებში ხნობიერების ამაღლება; წარმატებული ახალგაზრდების, სპორტსმენების, მწვრთნელების, ინტელექტუალურ კონკურსებში გამარჯვებულთა მატერიალური და მორალური წახალისება; შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩატარების ხელშეწყობა; სპორტულ-შემეცნებითი ბანაკის მოწყობა ახალგაზრდობისათვის; შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით რეგისტრირებულ ამპუტანტ ფეხბურთელთა ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროექტების განხორციელება; • ახალგაზრდული სივრცის მოწყობა; • სკოლებსა და უნივერსიტეტებში ახალგაზრდული თვითმართველობების გაძლიერება; • ახალგაზრდულ-გენდერული ბანაკის დაარსება; • ინტელექტუალურ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებების გამართვა; • ახალგაზრდული პროექტებისა და ინიციატივების დაფინანსება და თანადაფინანსება; • ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის მასშტაბურად აღნიშვნა; • მოლაშქრეთა და სკაუტთა ჯგუფის ჩამოყალიბება; • მოძრავი ღია კინოთეატრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; • ექსკურსიები საქართველოს ისტორიული ადგილების შესაცნობად; • ქალთა სივრცის გაძლიერება; • გენდერული სოციალიზაცია. 		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		100.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, მეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობა. ახალი მინი სპორტული მოედნების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია სპორტული მოედნის მოწყობა . ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ზუგდიდში გორის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის ხელოვნური საფარის მოწყობა; ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში ა. როგავას ქუჩაზე და ხეცერის უბანში მდებარე სტადიონების რეაბილიტაცია; ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში სასაფლაოს მიმდებარე მოედნის დემონტაჟი და ხიდსა და ჭკადუაშის საზღვარს შორის მონტაჟი, ასევე ზედაეწერში ზუგდიდი-ჯვარის ტერიტორიაზე არსებული სტადიონის გადატანა ყოფილი ბასეინის ტერიტორიაზე; ხეცერის, ერგეტისა და ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული სტადიონების რეაბილიტაცია; ნაწულუკუს სტადიონის გადატანა სკოლის ეზოში და სხვ.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ დაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულია ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება; ქართული ფოლკლორის აღორძინება; ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია; ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობა და ქართული სიმღერის შენარჩუნება; ხალხური ცეკვის სასცენო დამუშავების (დადგმის) მხატვრული კანონების დაცვა მისი წარმომავლობისა და კუთხური თავისებურებების (მომრავობა, ილეთები, შესრულების მანერა) გათვალისწინებით; ასევე სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირების გამოვლენა, ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა და პოპულარიზაცია საზოგადოების წინაშე.</p> <p>ცენტრი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • მაცი ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეა - შემოქმედებითად გალერეა აქტიურად არის ჩართული ყველა მიმდინარე პროცესში. გალერეაში მუდმივად ეწყობა სხვადასხვა მხატვრის ექსპოზიციები და თემატური გამოფენები, რაც მნიშვნელოვანია სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის. • მოყვარულთა თეატრი „ჩხორია“ - მოქმედი დრამატული წრე, აქტიურად აწეობს პრემიერებს და სპექტაკლებს. ეს არის ერთი სოფლის კულტურის სახლის მაგალითი, რომელიც ხელსუწყობს სამოყვარულო თეატრალური ხელოვნების განვითარებას. • ადგილობრივი მუზეუმები - ხელს უწყობენ ახალგაზრდებში ინტერესების გაღვივებას ზოგადად ეროვნული ფასეულობებისა და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისადმი. აქ წარმოდგენილი ექსპონატები, მაღალ ინტერესს იწვევს ქალაქში ჩამოსული, ჩვენი ისტორიითა და ეთნოსით დაინტერესებულ სტუმრებში. • ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში გაერთიანებულია სახელოვნებო წრეები, სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფები და ანსამბლები, რომლებიც მონაწილეობენ ფოლკლორულ 		

	<p>ფესტივალებსა და კონკურსებში, აწყობენ გასტროლებს უცხოეთში, მართავენ გასვლით კონცერტებს სამეგრელოს რეგიონის სხვადასხვა სოფლებში.</p> <p>გამოყენებითი და ხალხური რეწვის ოსტატების ხელშეწყობა მიზნად ისახავს ხალხური შემოქმედების განვითარებას და მის პოპულარიზაციას. ხალხური რეწვის ნიმუშების მოძიებას, მოპოვებას, ფიქსაციას. რეწვის ოსტატების ნამუშევრების ფართო მასშტაბის გაცნობას და რეალიზაციას.</p>
--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		80.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლის და შენახვის, არქეოლოგიური გათხრების და ექსპედიციების მოწყობის ღონისძიებებს, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო ექსპედიციების ჩატარებას, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას, ექსპოზიცია-გამოფენებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსია ლაშქრობების მოწყობას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:</p> <ul style="list-style-type: none"> • 18 აპრილს, ძეგლთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა; • კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაცია; • მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ჩატარებული კონკურსები; • კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო სადაზვერვო ექსპედიციის მოწყობა; • სტაციონალური არქეოლოგიური გათხრებისა და კამერალური სამუშაოების წარმოება; • კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში გამოჩენილი ადამიანების დვაწლის პოპულარიზაცია, მემორიალური საღამოების გამართვა; • კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულება; • ექსპოზიცია-გამოფენების მოწყობა; • მოსწავლე ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი ექსკურსია-ლაშქრობების მოწყობა; • ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურულ მემკვიდრეობის შესახებ წიგნის გამოცემა; • პროექტი „საბავშვო არქეოლოგია“ - იმიტირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების სწავლება სკოლის მოსწავლეებისათვის.
-------------------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		680,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი
--------------------------------	--

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის“ მიერ, რომელიც შედგება ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკისაგან, სამი საქალაქო და 28 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალისაგან. წიგნადი ფონდი შეადგენს 187 083 ეგზემპლარს. დასაქმებულია 93 თანამშრომელი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა პროექტები, მოეწევა ლიტერატურულ-თეატრალიზებული საღამოები, სამეცნიერო კონფერენციები, წიგნის კვირეულები, თანამედროვე ავტორების შემოქმედებითი საღამოები, გამოფენები, საჯარო კითხვის დღეები; იფუნქციონირებს საზაფხულო სკოლა.</p> <p>ა(ა)იპ „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი“ გააგრძელებს სამეცნიერო და საგამომცემლო საქმიანობას, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ანალიტიკური აღწერილობების გაკეთებას; წიგნების, ბროშურების საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემას; საცნობარო მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის შედგენას.</p>
-------------------------------	---

	<p>მოხდება ცენტრის საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლება, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა; თანამშრომლების გადამზადება; სასოფლო ბიბლიოთეკებში მოძველებული, ამორტიზებული ინვენტარის: წიგნის თაროების, მკითხველის მაგიდების, ბიბლიოთეკარის მაგიდების, სკამების ახლით ჩანაცვლება. გადამზადების მიზნით თანამშრომლები მივლინებული იქნებიან საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ორკვირიან პროფესიულ კურსებზე, ოთხ წელიწადში გადამზადდება 20 თანამშრომელი, წელიწადში ხუთი, ისინი გაეცნობიან სიახლეებს საბიბლიოთეკო დარგში.</p> <p>მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში წიგნით მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით გაიხსნება სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალები, კერძოდ: განმუხურის, ჭითაწყარისა და კახათის ადმინისტრაციულ ერთეულებში.</p>
--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		180,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილება</p>
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • სადღესასწაულო კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მონაწილეთა მასობრიობა, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. თეატრის, კინოს, კლასიკური, საოპერო და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება. ისტორიულად, რელიგიურად და კულტურულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების დაცვა და განმტკიცება. მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მისთვის მეთოდური დახმარების გაწევა. ადგილობრივ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ჩამოყალიბება, სხვადასხვა თეატრალური დასების მოწვევა, ხელოვანების საღამოების მოწყობა, კონკურსების ჩატარება. <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საახალწლო და საშობაო ღონისძიებები - ქალაქის მთავარი საშობაო ნაძვის ხის საზეიმო გახსნა, გალა კონცერტი, საბავშვო კონცერტები და გამოფენები. სახალხო მსვლელობა „ალილო“; • ქალთა საერთაშორისო დღისა და დედის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, წარმატებული ქალბატონების დაჯილდოება; • ქართული ჟურნალისტიკის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; • საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე და საქართველოს პირველი რეფერენდუმის დღე; • 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე; • ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრის დაბადების დღე; • ავსტრიელი მწერლისა და მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატის ბერტა ფონ ზუტნერის სახელობის საერთაშორისო პრემიის დღე; • 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის და ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას დაბადების დღე; • ქალაქ ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის დაარსების დღე; • „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის დღე; • სახალხო დღესასწაული „ვლახერნობა“; • სახელოვანი ზუგდიდელი ლოტბარის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“ ; • 8 აგვისტო რუსეთ-საქართველოს ომის გმირთა ხსოვნის დღე; • აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებით მშვიდობიანი აქციის მოწყობა; • მწერლების, პოეტების, ხელოვანთა შემოქმედებითი საღამოები; • კლასიკური მუსიკის კონცერტები სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით; • შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა.
-------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		65.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება; საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო და სხვა სახის საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა; წიგნების, ბროშურების, საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა; საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის თემატურად მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; მერიის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისა და ანონსების განთავსება მთავარ და თემატურ გვერდებზე; ფოტო და ვიდეომასალების, ინფორმაციის გავრცელება სოციალურ ქსელში ამ დანიშნულებით შესაბამისი სააგენტოს მომსახურება; ნორმატიული აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში; გაზეთ „ახალ ზუგდიდში“ მასალებისა და ინფორმაციების განთავსების მომსახურების შესყიდვა; ვებგვერდის მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტის ნორმატიული სამართლებრივი აქტების და საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით ანგარიშის გამოქვეყნება; ადგილობრივ ტელე და რადიო ეთერში მუნიციპალიტეტის საინფორმაციო თუ სხვა საჭიროებისათვის საერთო დროის მომსახურების შესყიდვა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		160.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია რელიგიურ ორგანიზაციათა და სხვადასხვა კონფესიათა საქმიანობის, კანონით ნებადართული აქტივობების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფა; ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის ფინანსური ხელშეწყობა; ვლადიკავკასიის დღესასწაულის აღნიშვნის თანადაფინანსება.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	საცხენოსნო კლუბ „ხარება“-ს ფინანსური ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 03		80,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბი „ხარება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია სპორტული ცხენოსნობის მიმდევარი ახალგაზრდებისა და მოყვარულების დაინტერესება ამ სახეობის სპორტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის საცხენოსნო სპორტის მეშვეობით პროფილაქტიკურ-სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხელშეწყობა; ცხენოსნობის ეროვნული სახეობების (ისინდი, ცხენბურთი, დოდი, მარულა) შეჯიბრებებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.</p>		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,430.0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,430.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,414.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	260.0
06 01 02	ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები	50.0
06 01 03	სამედიცინო დახმარების პროგრამა	1,104.0
06 02	სოციალური დაცვა	2,016.0
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	200.0
06 02 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	51.0
06 02 03	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	120.0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ონკოლოგიურ ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა	240.0
06 02 05	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	70.0
06 02 06	ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმშვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა	40.0
06 02 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	75.0
06 02 08	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	120.0
06 02 09	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	140.0
06 02 10	დევილთა მხარდაჭერის პროგრამა	30.0
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა	120.0
06 02 12	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	50.0
06 02 13	პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“	30.0
06 02 14	უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	730.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		260.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენციას ეპიდზედამხედველობის სისტემით, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვით, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფით, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შეზღუდვას, პარაზიტული დაავადებების პირველად ეპიდკვლევას, დაავადების დიაგნოსტიკასა და პროფილაქტიკურ მკურნალობას, სანიტარული ღონისძიებების დაცვის ზედამხედველობას სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში, C ჰეპატიტზე, აივ/შიდსსა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებულ სკრინინგს პირველადი ჯანდაცვის დონეზე დაავადებების ადრეული გამოვლენისა და პრევენციისთვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამედიცინო დახმარების პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 03		1104.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება/თანადაფინანსებას, მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას სკრინინგული პროგრამების მხარდაჭერის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და დაავადებების პრევენცია-პროფილაქტიკაზე ცნობიერების ამაღლების გზით.</p> <p>ძვირადღირებული მედიკამენტები, რომელთა ერთეულის ღირებულება შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს და ზევით - მაქსიმალური ლიმიტი - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის 250 (ორას ორმოცდაათი ლარი) დაფინანსება წელიწადში ერთხელ.</p> <p>მოსარგებლები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში შშმ) პირები, ონკოლოგიური ავადმყოფები, ქრონიკული დაავადებების (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, დიაბეტი, გლავუკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება) მქონე პირები.</p> <p>ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) - მაქსიმალური ლიმიტი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი დაფინანსება წელიწადში ერთხელ.</p> <p>სტაციონარული სამედიცინო მომსახურება: ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ.</p> <p>მოსარგებლები: მოქალაქეები, რომლებსაც ძვირადღირებული (1000 ლარზე ზევით) ოპერაციის (გარდა ესთეტიური და რეპროდუქტოლოგიური ქირურგიისა) ღირებულება არ უფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის ან რომელიმე კერძო სადაზღვევო პაკეტიდან- მაქსიმალური ლიმიტი 1 000.00 (ერთი ათასი) ლარი (ჯანდაცვის კომისიის გადაწყვეტილებით); სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირები, სიმსივნით დაავადებული პირები, პენსიონრები, 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები - თანადაფინანსება საყოველთაო ჯანდაცვასთან/ კერძო სადაზღვევო კომპანიასთან 500- დან 2000 ლარამდე 50%. 2000-დან 5000-მდე მაქსიმალური ლიმიტი 1000 ლარი, 5000 ლარი და ზევით მაქსიმალური ლიმიტი 1500 ლარი. გამონაკლისს წარმოადგენს შშმ 0-18 წლამდე ბავშვები, რომელთა სარეზილიტაციო ოპერაციული</p>		

	<p>მკურნალობის 500 ლარამდე თანადაფინანსება მოხდება 100%-ით. 0-18 წლამდე ბავშვების აბილიტაცია/რეაბილიტაცია: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა 65 ბავშვისთვის. მომსახურების დაფინანსება ყოველთვიურად - 18 საათი (თვეში მაქსიმალური ლიმიტი 378 ლარი); სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება - მაქსიმალური ლიმიტი 500 (ხუთასი) ლარი, წელიწადში ერთხელ. მოსარგებლები დიაგნოზით: დაუნის სინდრომი; ბავშვთა ცერებრული დამბლა (G-80.0 ; G 80.1; G-80.2 ; G-80.3; G- 80.4; G 80.8 ; G -80.9) ; სხვა პარალიზური სინდრომები (G-81.9; G-82.0 ; G-83.2); განვითარების ეტაპების დაყოვნება (R-62.0); იშვიათი დაავადებების (ცელიაკია და ფენილკეტონურია) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების თანხით უზრუნველყოფა: ცელიაკია-ყოველთვიურად მაქსიმალური ლიმიტი 250.00 (ორას ორმოცდაათი) ლარი; ფენილკეტონურია - ყოველთვიურად მაქსიმალური ლიმიტი 500.00 (ხუთასი) ლარი. მუკოვისციდოზი - 0-18 წლამდე ყოველთვიურად მაქსიმალური ლიმიტი -500 (ხუთასი) ლარი; ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგი მოსარგებლები: 25-70 წლამდე მაღალი რისკის მქონე ქალები. რისკის ჯგუფები: ა) დატვირთული ოჯახური ანამნეზი; ბ) იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში; გ) ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება; დ) E00-E07 – ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები; ე) E65-E68= სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები; ვ) E70- E90- მეტაბოლური დარღვევები; ზ) სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო; თ) კისრის ლიმფადენოპათია; ი) ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება; კ) უნაყოფობა. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება მაქს. ლიმიტი 200 (ორასი) ლარი წელიწადში ერთხელ. პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე 0-18 წლამდე შშმ პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალისა და მოვლის საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა (საპილოტე პროგრამა) - ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარი. კოხლერული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ბავშვების სასმენი აპარატის/პროცესორის თანადაფინანსება (საპილოტე პროგრამა 3 ბავშვისთვის) - თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 10 000 ლარი</p>
--	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	---	----------------------------------

	06 02 01		200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მორალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას, სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა ცხელი სადილით უზრუნველყოფას დღეში ერთხელ. სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა (280 ბენეფიციარი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების მქონე პირები (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) მიიღებენ საკვები პროდუქტებით დახმარებას ერთჯერადად წლის განმავლობაში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		51.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანთა ოჯახების ხელშეწყობას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად ფულად დახმარებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო მათთან გათანაბრებულ პირებს - 200 ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღის -9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, ყოველთვიურად 200 ლარიანი დახმარებას პენსიაზე დანამატის სახით სამამულო ომის მონაწილე ვეტერანებზე ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი“-ს მიერ წარმოდგენილი სიისა ან/და მოქალაქის პირადი განცხადების საფუძველზე; ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი“-ს ფინანსურ უზრუნველყოფას ამავე კავშირის თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე ყოველი თვის ბოლო რიცხვებში. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის ან საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება 300 ლარის ოდენობით. ყოველწლიურად, აგვისტოს თვეში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერას, თითოეულ ოჯახზე 1000 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		120.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი დახმარებას, მარტოხელა მშობლების და დედ-მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას, ქალთა მიმართ ან/და ოჯახის ძალადობის მსხვერპლთა ფინანსურ მხარდაჭერას ან მოქმედ კრიზისულ ცენტრში განთავსებას. ბავშვების სოციალური დაცვის ერთჯერადი დახმარებები: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის- 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე – 200 ლარი; 5 ბავშვზე–300 ლარი და ა.შ; პირველი-მეორე შვილის შექმნისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები)- 200 ლარი ; ნებისმიერი კატეგორიისთვის: ტყუპის შექმნისას -500 ლარი ; დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით; მარტოხელა მშობლის, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი ქორწინების გარეშე ყოველთვიური დახმარება -50 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100-800 ლარამდე ოდენობით (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოსა და		

	ან/და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით) სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად.
--	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ონკოლოგიურ ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		240.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილება		
